

„16“ „ოქტომბერი“ 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი თეონა ხუფენია და მეორე მხრივ შ.პ.ს. ზუგდიდის „№ 2 აფთიაქი“ (შემდგომში „№ 2 აფთიაქი“), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი – დალი დარასელია საქართველოს კანონმდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

### მუხლი 1

#### მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და შ.პ.ს. ზუგდიდის „ზუგდიდის № 2 აფთიაქი“-ს შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას „ფარმაცევტის თანაშემწის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული/დარგობრივი კომპონენტებისა და სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.

### მუხლი 2

#### მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად შ.პ.ს. ზუგდიდის „№ 2 აფთიაქი“ იღებს ვალდებულებას სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყოს ხელმისაწვდომი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, აღჭურვილობა, მასალა-ნედლეული და პროფესიული სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის შ.პ.ს. ზუგდიდის „№ 2 აფთიაქი“ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი .3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .4.

სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განახლებადი ხელშეკრულებით.

4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

4.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თან ერთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა მოდულების შესაბამისად.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

თეონა ხუფენია

საკონტაქტო ტელ: 577 41 90 41

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14



შ.პ.ს. ზუგდიდის „№ 2 აფთიაქი“ დირექტორი

დალი დარასელია

საკონტაქტო ტელ: 593 35 57 91

მისამართი: ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას .N39

